ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №677

ქ. ბათუმი, 13 თებერვალი 2018 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა და მიწისა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ქონებაზე და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას, ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა, არამედ საჭიროა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი მიმართვა წარადგინოს საჯარო რეესტრში და მოითხოვოს მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქ.ბათუმში, ინასარიძის ქ. №24-ის მიმდებარედ არსებული 1025,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, რადგანაც ის საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას, არამედ ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 107-ე მუხლის პირველი პუნ-ქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ. ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ. ბათუმის მუნი-ციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე: ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №24-ის მიმდებარედ არსებული 1025,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დამატებით ქონებას.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომაძე).

5. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაცი-აზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მე-რიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მარ-თვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი: 61001010495).

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მე-რიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაც-ნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი